

### **3. აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება სოხუმის ბუნების დაცვის და ტრანსპორტის პროკურატურების აფხაზეთის ასსრ პროკურორისადმი დაქვემდებარების შესახებ**

აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ აფხაზეთის კონსტიტუციის 155-ე მუხლის ადრინდელი რედაქციის თანახმად აფხაზეთის ტერიტორიაზე მომქმედი რაიონული და რაიონთაშორისი პროკურატურები საქართველოს პროკურორის მიერ ინიშნებოდნენ.

ამჟამად აფხაზეთის კონსტიტუციის 155-ე მუხლი შეცვლილია და ამ მუხლის ახალი რედაქციის თანახმად აფხაზეთის ტერიტორიაზე ყველა რაიონული და რაიონთაშორისი პროკურორი ინიშნება აფხაზეთის პროკურორის მიერ. ამასთან დაკავშირებით სოხუმის ბუნების დაცვის და ტრანსპორტის პროკურორები უნდა დაქვემდებარონ აფხაზეთის პროკურორს.

ამასთან დაკავშირებით აფხაზეთის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

სოხუმის ბუნების დაცვის და ტრანსპორტის პროკურორები დაექვემდებარონ აფხაზეთის ასსრ პროკურორს, ამასთან საქართველოს რესპუბლიკის პროკურორს შეუნარჩუნდეს მათ საქმიანობაზე ზედამხედველობის ფუნქცია საქართველოს რესპუბლიკის მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. არძინა

ქალ. სოხუმი, 24 იანვარი 1992 წელი.

(შემდგენლის პირადი არქივიდან. საკუთარი თარგმანი)